საქართველოს ეროვნული არქივი
ა ც ლ ი

# I. განმარტებითი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოცემულობით და ქალაქ თბილისის მთავარი არქიტექტურის მითითებათა საფუძველზე საპროექტო ინსტიტუტმა "საქსოფლმშენსახპროექტმა" შეადგინა თბილისის სახელმწიფო იპოდრომის გენერალური გეგმა, იპოდრომის ტერიტორიის საზღვრების და ამ რაიონში ქალაქის განაშენიანების შეცვლის გამო.

თბილისის სახელმწიფო იპოდრომი მდებარეობს ორჯონიკიძის რაიონში მისი საზღვრებია: დასავლეთით გურამიშვილის ქუჩა, ჩრდილოეთით საბურთალოს ქუჩა, აღმოსავლეთით საბურთალოს ქუჩაზე ახლად დაგეგმარებული მოედანი და სამხრეთით იყალთოს მთა. გენერალური გეგმა შედგენილია ქალაქის მთავარი არქიტექტურის მითითების საფუძველზე. გენგეგმაზე დატანილია არსებული შენობები, ასაღები შენობები და ახლად დაგეგმარებული შემდეგი ობიექტები:

1. შესასვლელი გურამიშვილის ქუჩიდან ;
2. სასტუმრო საერთო საცხოვრებელი 200 კაცზე და იპოდრომის დირექციის შენობა;
3. თავლა 44 ცხენზე და პატარა მოთელვის მანეჟი.
4. თივისა და შვრიის საწყობი რეკონსტრუქცია;
5. ცხენების სამხედი;
6. აგურის ღობე;
7. ლითონის ღობე;
8. გზა რესტორან ისინდისათვის;

ის შენობები რომლებიც აღებული იქნება მათ ადგილზე მოეწყობა გამწვანება.

1972 წელს "საქსოფლმშენსახპროექტის" მიერ დამუშავე-
ქ. თბილისის ჭავჭავაძის [illegible]
ბული და წარდგენილი იყო √ ტიპიური პროექტი იპოდრომის გენერალური გეგმის, შესასვლელი გურამიშვილის ქუჩიდან და 5 სართულიანი საერთო საცხოვრებელი 200 კაცზე ჩამოსული სპორტსმენებისათვის.

1972 წლის 25 დეკემბერს ქ. თბილისის მთავარ არქიტექტორთან განიხილეს პროექტი და არ შეათანხმეს, ვინაიდან მთლიანად არ იყო დამუშავებული გენერალური გეგმა და მასთან მიმდებარე ტერიტორია, შესასვლელისათვის გურამიშვილის ქუჩიდან მოითხოვეს საკონკურო მოედანი სადაც მოეწყობოდა მანქანების სადგომი და სასტუმრო-საერთო საცხოვრებელი გადატანილიყო სამხრეთის ფერდზე.

ქ. თბილისის მთავარ არქიტექტორთან 1973 წლის 2 მარტს შედგენილი იქნა ოქმი რომლის საფუძველზე დაევალა "საქსოფლმშენსახპროექტს": მცირე ნაგებობათა გაერთიანება, გურამიშვილის ქუჩიდან შესასვლელის მოწყობა და სასტუმრო საერთო საცხოვრებლის 9-13 სართულიანი შენობის პროექტის შედგენა. ხოლო ქ. თბილისის მთავარმა არქიტექტურულმა დაგეგმარებათა სამმართველომ ერთი კვირის ვადაში დაამზადოს და გასცეს წითელი ხაზების დანიშნულების გეგმა.

ვინაიდან საბურთალოს ქუჩაზე ახლად დაგეგმარებული მოედანი და მასთან მიმდებარე ტერიტორია "ქალაქპროექტის" მიერ დღემდე გადაუწყვეტელია და წითელი ხაზები და ნიშნულები ვერ მივიღეთ ამიტომ "საქსოფლმშენსახპროექტი" წარმოდგენილ გენერალურ გეგმაში არ ითვალისწინებს საბურთალოს ქუჩის შემოღობვას და შესასვლელის მოწყობას.

საქართველოს ეროვნული არქივი
ასლი

## II – შესასვლელი გურამიშვილის ქუჩიდან.

შესასვლელი გურამიშვილის ქუჩიდან დაპროექტებულია არსებულ შესასვლელის მაგიერ. პროექტით გათვალისწინებულია წინა მოედნის გაფართოება 28 მეტრით სიღრმეში და 80 მეტრით სიგანეში.

მოედნის მარჯვენა მხარეს დაპროექტებულია სალაროები ხოლო მარცხენა მხარეს საყარაულო ჯიხური და ყრუ კედელი რომელზედაც /ეკლარის ქვაზე/ ამოიკვეთება შეჯიბრი ქართული ეროვნული ცხენოსნობის მოტივებზე, მოედნის მარცხენა მხარეს დაპროექტებულია სამი ლითონის სვეტი, რომელზედაც მაგრდება სპორტსაზოგადოებათა ალმები. სალაროების შენობა და შესასვლელის კოლონები მოპირკეთდება ეკლარის ქვით, ცოკოლი ბაზალტით, ზედა კიდე რკინაბეტონისა და ილესება ტერაზიტის ხსნარით – ეკალის ქვის ფრად.

შესასვლელის ვარიანტი ითვალისწინებს უფრო მარტივ კონსტრუქციებს ვიდრე ძირითადი პროექტი.

საქართველოს ეროვნული არქივი
ასლი